სოფიო ვეფხვაძე, გიორგი სანიკიძე

# საქართველოს ისტორია 9

## მოსწავლის რვეული



ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

სახელი ______________________________

გვარი ______________________________

კლასი ______________________________

## 1. შემოხაზეთ სწორი პასუხი

### 1.1 ვინ იყო ურარტუს მეფე ძვ. წ. IX ს-ის ბოლოს – VIII ს-ის დასაწყისში?

1. არგიშთი;
2. ტიგლათფალასარი;
3. მენუა;
4. სარდური.

### 1.2 დიაოხის დედაქალაქი იყო:

1. მცხეთა;
2. ზუა;
3. ილდამუშა;
4. არმაზი.

### 1.3 ვის წარწერებში იხსენება დიაოხის მეფე სიენი?

1. ურარტუს მეფე მენუას;
2. ურარტუს მეფე არგიშთის;
3. ასურეთის მეფე ტიგლათფალასარის;
4. ასურეთის მეფე სარდურ II-ის.

### 1.4 როდის წარმოიქმნა კოლხას სახელმწიფოებრივი გაერთიანება?

1. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში;
2. ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში;
3. ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში;
4. ძვ. წ. XII-VI საუკუნეებში.

### 1.5 ვინ გაანადგურა დიაოხი?

1. ასურეთმა და კოლხამ;
2. სკვითებმა და კიმერიელებმა;
3. ასურეთმა და ურარტუმ;
4. ურარტუმ და კოლხამ.

### 1.6 რომელი მითი გვაწვდის ცნობებს კოლხეთის შესახებ?

1. მითი ამირანზე;
2. მითი ჰერაკლეზე;
3. მითი არგონავტებზე;
4. მითი პრომეთეზე.

### 1.7 რომელ საუკუნეში გამოჩნდნენ კიმერიელები და სკვითები ამიერკავკასიაში?

1. ძვ. წ. VIII საუკუნეში;
2. ძვ. წ. IX საუკუნეში;
3. ძვ. წ. VIII საუკუნეში;
4. ძვ. წ. X საუკუნეში.

### 1.8 სავარაუდოდ, რომელ ქვეყანას უწოდებს ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე „სპერს“?

1. ეგრისს;
2. იბერიას;
3. კოლხეთს;
4. მესხეთს.

### 1.9 რომელი კოლონია არ დაუარსებიათ ბერძნებს საქართველოში?

1. ფაზისი;
2. გიენოსი;
3. არქეოპოლისი;
4. დიოსკურია.

### 1.10 რა გაჰქონდათ ბერძნებს კოლხეთიდან?

1. ზეითუნის ზეთი;
2. ღვინო;
3. ოქრო;
4. მინის ნაწარმი.

### 1.11 რომელ საუკუნეში მოიჭრა კოლხური თეთრი?

1. ძვ. წ. VI საუკუნეში;
2. ძვ. წ. VII საუკუნეში;
3. ძვ. წ. VIII საუკუნეში;
4. ძვ. წ. IX საუკუნეში.

### 1.12 რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ფარნავაზ I ?

1. ძვ. წ. III საუკუნეში;
2. ძვ. წ. II საუკუნეში;
3. ახ. წ. I საუკუნეში;
4. ახ. წ. III საუკუნეში.

### 1.13 რამდენ საერისთავოდ დაყო ფარნავაზმა ქართლის სამეფო?

1. 7;
2. 10;
3. 8;
4. 14.

### 1.14 რომელი ადმინისტრაციული ერთეული შედიოდა სასპასპეტოში?

1. შიდა ქართლი;
2. ქვემო ქართლი;
3. ხუნანი;
4. სამშვილდე.

### 1.15 ვინ ყო ქუჯი?

1. არგვეთის ერისთავი;
2. ოძრხის ერისთავი;
3. ეგრისის ერისთავი;
4. წუნდის ერისთავი.

### 1.16 რომელ წლებში მეფობდა პონტოს მეფე მითრიდატე VI?

1. ძვ. წ. 125-110 წლებში;
2. ძვ. წ. 111-63 წლებში;
3. ძვ. წ. 170-200 წლებში;
4. ძვ. წ. 336-323 წლებში.

### 1.17 ვინ დაამარცხეს რომაელებმა ძვ. წ. 190 წელს?

1. სომხები;
2. პონტო;
3. სელევკიდები;
4. მაკედონიელები.

### 1.18 როდის ილაშქრა პომპეუსმა ქართლში?

1. ძვ. წ. 59 წელს;
2. ძვ. წ. 63 წელს;
3. ძვ. წ. 65 წელს;
4. ძვ. წ. 69 წელს.

### 1.19 როდის ჩამოყალიბდა სამთავროები დასავლეთ საქართველოში?

1. ძვ. წ. II საუკუნეში;
2. ძვ. წ. IV საუკუნეში;
3. ძვ. წ. III საუკუნეში;
4. ძვ. წ. VI საუკუნეში.

### 1.20 ვინ იყო ქართლის მეფე ახ. წ. 120-170 წლებში?

1. ფარსმან I;
2. ფარსმან II;
3. მირდატ V;
4. მირიანი.

## 2. შეავსეთ ცხრილი

2.1

| მეფეები | წლები | ტიტული |
|---|---|---|
| ფარნავაზი | | |
| ფარსმან ქველი | | |
| არტაგი | | |

2.2

| დასახელება | დამპყრობლები | შედეგები |
|---|---|---|
| დიაოხი | | |
| კოლხა | | |
| ეგრისი | | |
| ქართლი | | |

2.3

| სასპასპეტო | საერისთავოები | ცენტრები |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

2.4

| დასახელება | აღმოჩენის ადგილი | საუკუნეები |
|---|---|---|
| ჰომინიდის თავის ქალა | | |
| ოქროს სამაჯურები | | |
| მარმარილოს სტელა | | |
| ოქროს დისკო | | |
| ქალღმერთ ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკება | | |

## 3. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით

3.1
- პალეოლითი ☐
- ნეოლითი ☐
- ენეოლითი ☐
- მეზოლითი ☐

**3.2**

- ☐ თემი
- ☐ ფეოდალი
- ☐ ტომი
- ☐ გვარი

**3.3**

- ☐ კოლხასა და ურარტუს დაპირისპირება
- ☐ სკვითებისა და კიმერიელების შემოსევა
- ☐ ბერძნების შემოსვლა კოლხეთში
- ☐ ასურეთისა და დიაოხის დაპირისპირება

**3.4**

- ☐ პომპეუსის ლაშქრობა ქართლში
- ☐ აზონის გაბატონება ქართლში
- ☐ ანიკეტის აჯანყება
- ☐ სარდურ II-ის მიერ კოლხეთის დალაშქვრა

**3.5**

- ☐ რკინის მეტალურგიის წარმოშობა
- ☐ ადრეყორღანული კულტურა
- ☐ მტკვარ-არაქსის კულტურა
- ☐ თრიალეთის კულტურა

**3.6**

- ☐ ილდამუსას აღება
- ☐ სამეფო ქალაქ ზუას აღება
- ☐ უტუფურსის ტყვედ ჩავარდნა
- ☐ სიენის ტყვედ ჩავარდნა

**3.7**

- ☐ იმპერატორ ანტონიუს პიუსის მიერ ფარსმან II-ის მიწვევა რომში
- ☐ ქართლის მეფის მიერ რადამისტის სიკვდილით დასჯა
- ☐ რომაელთა მიერ სომხეთის დამორჩილება
- ☐ რომაელებთან მითრიდატე VI-ის დამარცხება

**3.8**

- ☐ პომპეუსი
- ☐ ფარნავაზი
- ☐ აიეტი
- ☐ ფარსმან ქველი

## 4. იპოვეთ კითხვების შესაბამისი პასუხები და შეუსაბამეთ ნომრები

| № | № | №+№ |
|---|---|---|
| 1. არმაზის ბილინგვა | 1. ბერძნული კოლონიზაცია | |
| 2. ფარნავაზი | 2. არამეულ-ბერძნული წარწერა | |
| 3. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარება | 3. 1,8-1.7 მლნ წლის წინ | |
| 4. დმანისელი ადამიანის დასახლება საქართველოში | 4. რომაელთა ლაშქრობა | |
| 5. კოლხეთში ახალშენების დაარსება | 5. ნეოლითური რევოლუცია | |
| 6. მითრიდატე VI-ის დამარცხება | 6. ქართული მწიგნობრობა | |
| | 7. გოხების გორა | |

## 5. იპოვეთ შეცდომები

### 5.1 იპოვეთ და გაასწორეთ 3 შეცდომა

დიაოხი

დაიენი-დიაოხი ძვ. წ. XI-VII საუკუნეებში არსებობდა. მისი ტერიტორია მოიცავდა მდინარე იორის აუზსა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს.

| № | შეცდომითაა | სწორია |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |

### 5.2 იპოვეთ და გაასწორეთ 5 შეცდომა

ფარნავაზი

ფარნავაზმა ქვეყანა დაყო 5 საერისთავოდ და 1 საპიტიახშოდ. მან გაამაგრა ქალაქი გორი და აღმართა გაცის კერპი. ის ტახტზე 27 წლისა ავიდა და 68 წელი იმეფა.

| № | შეცდომითაა | სწორია |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |
| 5 | | |

## 5.3 იპოვეთ და გაასწორეთ 5 შეცდომა

რომაელებმა იბერიის მეფედ დანიშნეს აზონი, რომელიც ეგრისის მეფის ძე იყო. მან ჩამოიყვანა საკუთარი ნათესავები, რომლებიც ერისთავები გახადა და მცხეთაში აღმართა ორი კერპი, გაცი და არმაზი.

| № | შეცდომითაა | სწორია |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |
| 5 | | |

## 5.4 იპოვეთ და გაასწორეთ 4 შეცდომა

ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებში რომმა პართიის სამეფოსთან ომი დაიწყო, ქვეყნის მეფე იყო მითრიდატე VI მრისხანე, რომლის მოკავშირეები იყვნენ სომხეთის, ქართლისა და მაკედონიის მეფეები.

| № | შეცდომითაა | სწორია |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |

## 5.5 იპოვეთ და გაასწორეთ 4 შეცდომა

ფარსმანი

ფარსმანი სომხეთში ჩავიდა ოჯახთან ერთად, იმპერატორმა ადრიანემ ნება მისცა ფარსმანს კოლიზეუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება კი იუპიტერის მოედანზე აღმართა.

| № | შეცდომითაა | სწორია |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |

## 5.6 იპოვეთ და გაასწორეთ 4 შეცდომა

იბერიის მეფე ფარნაჯომმა რომაელებს დესპანი გაუგზავნა, თავად კი ომისათვის მზადება დაიწყო. რომაელებმა ეს შეიტყვეს და მოულოდნელად თავს დაესხნენ იბერებს. მეფემ გაქცევა მოასწრო და მდინარე ალაზანზე გადებული ხიდი გაანადგურა, თუმცა მოლაპარაკების შემდეგ ხარკის გადახდა იკისრა.

| № | შეცდომითაა | სწორია |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |

## 5.7 იპოვეთ და გაასწორეთ 5 შეცდომა

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში რამდენიმე სააზნაურო ჩამოყალიბდა: ლაზების, აფშილების, პაჭანიკებისა და მოსინიკების, რომელთა სათავეშიც ბერძნებმა ადგილობრივი მთავრები დააყენეს.

| № | შეცდომითაა | სწორია |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |
| 5 | | |